ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31231856**
თარიღი: **04/07/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით განკარგულების პროექტს, სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, დავით რამიშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

დანართი- 8 (რვა) გვერდი.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო
ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA LANCHKHUTI EDUCATIONAL RESOURCE CENTRE

MES 1 23 0000770313

27/06/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 27 ივნისს, ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის დირექციის #770060 წერილი, რომელიც ეხება სკოლისთვის, **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის, „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის“ ორდენით დაჯილდოებულის, ამავე სკოლის აღზრდილის - დათო რამიშვილის სახელის** მინიჭების შესახებ.

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის დათო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოზე.

შესაბამისად გეგზავნებათ საჭირო დოკუმენტაცია საკითხის შემდგომი განხილვისათვის (იხ. საფუძველი და მიბმული ფაილები).

პატივისცემით,

გურიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ჩიტაძე ნინო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2023 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, დავით რამიშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4[1] მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, დავით რამიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლა

LEPL MUNICIPALITY OF LANCHKHUTI
PUBLIC SCHOOL OF VILLAGE TSKALTSMINDA

ლანჩხუთი, წყალწმინდა ტ. 577 62 43 47 email: tskaltsminda@mes.gov.ge

MES 0 23 0000770060

27/06/2023

ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს
ქალბატონ ნინო ჩიტაძეს

ქალბატონო ნინო,

სსიპ ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის დირექცია გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ჩვენდამი რწმუნებული სკოლისათვის სახელის შეცვლისა და მისთვის **საქ ართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის, „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის“ ორდენით დაჯილდოებულის, დათო რამიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით**.

პატივისცემით,

დირექტორი
ჯიქია ნანი

სსიპ-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის
პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ლელა სარიშვილს

სსიპ-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივის და სკოლის
თანამშრომელთა ერთობლივი განცხადება

განცხადება

გთხოვთ, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილოთ, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისათვის, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ჩვენი სოფლის მცხოვრების, დათო რამიშვილის სახელის მინიჭება.

პატივისცემით,

1. ნანი ჯიქია
2. რუსუდან მეგრელიშვილი
3. ვიქტორია მგალობლიშვილი
4. თინათინ ხიმშიაშვილი
5. ნატალია გოგორიშვილი
6. ია ანდღულაძე
7. დათო ურუშაძე
8. ნათელა გოგოლიშვილი
9. მაკა ხაბეიშვილი
10. ნინო ხავთასი
11. დალი ჯაფარიძე
12 თორნიკე ცინცაძე
13. ნონა დოლიძე
14. ნუნუ კუნჭულია
15. ანა მენაღარაშვილი
16. ნატალია მებუკე
17. ნატო ბუსხრიკიძე
18. მარინა რამიშვილი
19. ხათუნა ხომერიკი
20. მანანა კვერენჩხილაძე
21. მართა მჟავანაძე
22. თამარ რუსია
23. ნუნუ აფშილავა
24. ხათუნა ცერცვაძე
25. თეა გუჯაბიძე
26. მზევინარ ფუტკარაძე
27. ანჟელი ჩხარტიშვილი
28. ბესიკი კვაჭანტირაძე
29. მერი აბრალავა

თარიღი: 21.06.2023

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის
პედაგოგიური საბჭოს სხდომის
ოქმი N- 8

სოფელი წყალწმინდა 21 ივნისი , **2023** წელი

სხდომა დაიწყო: 11 :00 - სთ
სხდომა დამთავრდა: 12 :00 - სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე - ლელა სარიშვილი

სხდომის მდივანი - მერი აბრალავა

1. ნანი ჯიქია -დირექტორის მ/შ

2. რუსუდან მეგრელიშვილი -დირექტორის მოადგილე

3. ვიქტორია მგალობლიშვილი

4. თინათინ ხიმშიაშვილი
5. ნატალია გოგორიშვილი
6. ია ანდღულაძე
7. დათო ურუშაძე
8. ნათელა გოგოლიშვილი
9 . მაკა ხაბეიშვილი
10. ნინო ხავთასი
11. დალი ჯაფარიძე
12 თორნიკე ცინცაძე
13. ნონა დოლიძე
14. ნუნუ კუნჭულია
15. ანა მენაღარაშვილი
16. ნატალია მებუკე
17. ნატო ბუსხრიკიძე
18. მარინა რამიშვილი
19. ხათუნა ხომერიკი
20. მანანა კვერენჩხილაძე
21. მართა მჟავანაძე
22. თამარ რუსია

პედაგოგიური საბჭოს სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ სკოლის შემდეგი თანამშრომლები : სკოლის საქმის მწარმოებელი- ნუნუ აფშილავა, სკოლის ბიბლიოთეკარი- ხათუნა ცერცვაძე, სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი- თეა გუჯაბიძე,

სკოლის დამლაგებლები- მზევინარ ფუტკარაძე და ლუბა ჩხარტიშვილი, სკოლის დარაჯი - ბესიკი კვაჭანტირაძე,

პედაგოგიურ საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საპატიო მიზეზით: სკოლის დარაჯი- გრიგოლ ქვილორია, სკოლის ცეცხლფარეში -თენგიზ სალუქვაძე, სკოლის საინფორმაციო მენეჯერი - ანა ახვლედიანი, სკოლის ბუღალტერი- ნათია კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას მოახსენა, რომ დაცულია სხდომის მოწვევის წესები, სათანადო წესით მოხდა წევრთა გაფრთხილება და შეტყობინების ჩაბარება სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ. სხდომა უფლებამოსილია ხმათა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილებები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. **სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის „ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის“ ორდენით დაჯილდოებულის, დათო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.**
2. **სხვა აუცილებელი საკითხები**

აზრი გამოთქვეს: ნანი ჯიქიამ, საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 30

წინააღმდეგი: - 0

თავი შეიკავა: - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით და დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

#1 . საკითხი: **სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის, სოფელ წყალწმინდის მკვიდრის „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის“ ორდენით დაჯილდოებულის, დათო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს: სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნანი ჯიქიამ სხდომას მოახსენა, რომ დათო გურამის ძე რამიშვილი, სოფელ წყალწმინდის მკვიდრი და ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლე, 1992 წლის შემოდგომაზე მონაწილეობდა აფხაზეთის რეგიონში, კერძოდ ოჩამჩირეში

წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. ის 1992 წლის 28 ნოემბერს გმირულად დაიღუპა სოფელ ქეთევანასთან.

სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 14 ივლისის #85 ბრძანებით დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და ადმინისტრაცია/დირექციის თანამშრომლებმა, გააკეთეს ერთობლივი განცხადება და მიმართეს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს, მოეწვია პედაგოგიური საბჭოს სხდომა სკოლისთვის დათო რამიშვილის სახელის მინიჭების მოთხოვნაზე.

გაკეთდა ხელმოწერები აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც წარმოდგენილია საფუძვლად.

აზრი გამოთქვეს:

დათო ურუშაძე - მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დათო რამიშვილი იყო უაღრესად პატრიოტი, სოფლის საუკეთესო შვილი, ის საკუთარი სიცოცხლის ფასად ებრძოდა ქვეყნის ოკუპანტს. ის საოცარი თვისებებით იყო გამორჩეული, სოფლის კოლორიტი ახალგაზრდა.

დათო, 1989 წელს გახდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დასაწყისშივე ჩაება ეროვნულ მოძრაობაში და სწორედ სამშობლოს მთლიანობას შეეწირა.

ტყვარჩელის მისადგომებთან, სოფელ ქეთევანაში დატრიალდა ტრაგედია. არ დაინდეს უიარაღო, მტერზე შიშველი ხელებით მისული ახალგაზრდა არ დაინდეს და დაცხრილეს.

დათო რამიშვილის წარსული გმირული ცხოვრება, იმსახურებს სკოლისთვის მისი სახელის მინიჭებას. მისასალმებელია წარდგენილი წინადადება.

ვთხოვთ, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, აღნიშნული წინადადების დაკმაყოფილებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე:	- 30
წინააღმდეგი:	- 0
თავი შეიკავა:	- 0

დაადგინეს:

გადაეცეს განსახილველად, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სკოლის ინიციატივა, სსიპ ლანჩზხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის „ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის“ ორდენით დაჯილდოებულის, დათო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე: / ლელა სარიშვილი/

პედაგოგიური საბჭოს მდივანი: / მერი აბრალავა /

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის
საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს

ოქმი N 6

ლანჩხუთი, სოფელი წყალწმინდა 26 ივნისი , 2023 წელი
სხდომის დაწყების დრო: 11: 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს შემდეგი წევრები:

ვიქტორია მგალობლიშვილი -	სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე
ხომერიკი ხათუნა -	სამეურვეო საბჭოს მდივანი
სარიშვილი ლელა -	მასწავლებელი
ლელა ღლონტი -	მშობელი, პირველი საფეხური
შარვაშიძე ლილი -	მშობელი, მესამე საფეხური
თათანაშვილი თამარ-	მშობელი, მეორე საფეხური
ქვილორია ნანა -	მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. **საკითხი.**
   სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ინიციატივის განხილვა, სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის „ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის“ ორდენით დაჯილდოებულის, დავით რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
2. **სხვა აუცილებელი საკითხები**

მომხსენებელი : ვიქტორია მგალობლიშვილი - სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

თავი შეიკავა -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით
საკითხი 1.

1. **სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის „ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის“ ორდენით დაჯილდოებულის, დავით რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.**
2. **სხვა აუცილებელი საკითხები**

მოისმინეს: 1

აზრი გამოთქვეს: **ვიქტორია მგალობლიშვილი - სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.** მან აღნიშნა, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოში შემოსულია სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, დირექცია/ ადმინისტრაციის მოთხოვნა სკოლისთვის დათო გურამის ძე რამიშვილის- სოფელ წყალწმინდის მკვიდრის და ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლის, სახელის მინიჭების შესახებ.

დათო რამიშვილი, 1992 წლის შემოდგომაზე მონაწილეობდა აფხაზეთის რეგიონში, კერძოდ ოჩამჩირეში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. ის 1992 წლის 28 ნოემბერს გმირულად დაიღუპა სოფელ ქეთევანასთან.

სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 14 ივლისის #85 ბრძანებით დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

სკოლის სამეურვეო საბჭო ვალდებულია განიხილოს შემოსული წინადადება.

ბევრი საუბარი შეიძლება დათო რამიშვილის მიერ ჩადენილ გმირობაზე, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევ, რომ სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლას მიენიჭოს, დათო რამიშვილის სახელი.

ვთხოვთ, სკოლის დირექტორს წარადგინოს დასკვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში , სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილების შესახებ და საჯარო სკოლას მიენიჭოს დათო რამიშვილის სახელი.

აზრი გამოთქვა: ლელა ღლონტი - მშობელი პირველი საფეხურიდან. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული, დათო რამიშვილის სახელის მინიჭება მისი მშობლიური სკოლისთვის, ძალიან კარგი იქნება. მივესალმები შემოსულ მოთხოვნას და ვუცხადებ სრულ მხარდაჭერას აღნიშნულ წინადადებას.

მომხრე	-	7
წინააღმდეგი	-	0
თავი შეიკავა	-	0

3. **დაადგინეს:**
   ეთხოვოს, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის დირექციას, მხარი დაუჭიროს სკოლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას და წარადგინოს დასკვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლას შეეცვალოს სახელი და მიენიჭოს, დათო რამიშვილის სახელი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 12 : 00 სთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: / ვიქტორია მგალობლიშვილი/

სამეურვეო საბჭოს მდივანი: / ხათუნა ხომერიკი /